ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #28

ქ.თბილისი „09“ „აგვისტო, 2017 წელი

ერთი მხრივ **შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“** ს/კ 243123455 (შემდგომში -„შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ ამირანაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ მედეა ლაბაძე ს/კოდი: 57001043661 (შემდგომში _ მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის მედეა ლაბაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13-ის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი და ობიექტი**

1.1 ხელშეკრულების საგანია ბიუჯეტის სახსრებით (პროგრამული დაფინანსება), **სურამის ობიექტისათვის სხვადასხვა სახის სამეურნეო საქონლის** შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მონეტარული ზღვრის დაცვით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია:

CPV კოდი	დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	საერთო თანხა CPV კოდის მიხედვით (ლარი)
39221100	ქვაბი ალუმინის	ცალი	2	50,00	100,00	995,00
	ტაფა შესაწვავი დიდი 24სმ	ცალი	2	20,00	40,00	
	ტაფა შესაწვავი 22სმ	ცალი	1	20,00	20,00	
	პურის საჭრელი დაფა ხის 30*40	ცალი	3	6,00	18,00	
	პურის კალათები	ცალი	2	12,00	24,00	
	დანა მეტალის შავი #5	ცალი	2	5,00	10,00	
	ჯამი მეტალის 16 სმ	ცალი	200	1,20	240,00	
	ჯამი გადაშლილი მეტალის	ცალი	200	1,10	220,00	
	ჩაის ჭიქა	ცალი	200	1,00	200,00	
	კოვზი მეტალის	ცალი	120	0,25	30,00	
	ჩამჩა	ცალი	2	12,00	24,00	
	ჩამჩა პატარა მეტალის	ცალი	2	8,00	16,00	
	საწური მეტალის 22სმ	ცალი	2	3,50	7,00	
	ქაფქირი მეტალის	ცალი	2	4,50	9,00	
	ცეცხლგამძლე ჯამი ოვალური 30*21	ცალი	4	8,00	32,00	
19640000	მაგიდის გადასაფარებელი ცელოფანი 1,40*20მ	ცალი	1	65,00	65,50	65,50

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **1060,50 (ერთი ათას სამოცი ლარი და 50 თეთრი)** ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 18 აგვისტოს ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

5. შესყიდვის ობიქტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

ელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების ორმებაზე უფლებამოსილი პირია:შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“-ს მნე-ბარაგებელი ნატო ჭელიძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ნაღდი/ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს შეიძლება დაეკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების ან შეუსრულებელი ნაწილის 10%-ის ოდენობით იმისდა მიხედვით მთლიანად არის ვალდებულება შეუსრულებელი თუ ნაწილობრივ.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ს.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ

ულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული ოების შედეგი.

ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან მოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირები.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების ობიექტის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“	ი/მ მედეა ლაბაძე
ს/კოდი: 243123455	ს/კოდი: 57001043661
იურ. მის: ნაკალაკის რაიონი, ბედიანი	მის: ქ. ხაშური, იმერეთის 10
ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი“;	ბანკი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“;
ბანკის კოდი: BAGAGE22;	ბანკის კოდი: LBRTBGE22;
ა/ა GE02BG0000000267299600;	ა/ა GE20LB0112124632490000
დირექტორი	ხელმძღვანელი
ვახტანგ ამირანაშვილი	მედეა ლაბაძე

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

დ.სურამი „09 „ „ აგვისტო“ , 2017 წელი

შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“-ს დირექტორი ვახტანგ ამირანაშვილი და ინსპექტირების ჯგუფის წევრი ნატო ჭელიძე ვადასტურებთ, რომ სხვადასხვა სახის სამეურნეო საქონლის შესყიდვის პროცედურაში ხელშეკრულება #28 09.08.2017წ. ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და გამარტივებულ შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დირექტორი:

ვახტანგ ამირანაშვილი

243123455

ჯგუფის წევრი

ნატო ჭელიძე

„ვამტკიცებ“

შპს „აღ.საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“
დირექტორი

243123455 _____ ვახტანგ ამირანაშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი

დ. სურამი

14 აგვისტო 2017 წ.

ჩვენ,ქვემოთ ხელისმომწერნი,ერთის მხრივ შპს,,აღ.საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი ს/ნ 243123455 წარმომადგენელი მნე მომმარაგებელი ნატო ჭელიძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ მედეა ლაბაძე ს/კ 57001043661 ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ,რომ 09.08.17წ. № 28 გაფორმებული ხელშეკრულების და 14.08.2017 წელს ელ–0323819782 ზედნადების თანახმად ი/მ მედა ლაბაძემ ჩააბარა, ხოლო ნატო ჭელიძემ მიიღო 1060,50(ერთიათასსამოცი და 50)ლარის სამზარეულოს ინვენტარი.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

შპს „აღ.საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“

მნე მომმარაგებელი ნატო ჭელიძე _____

ი/მ მედეა ლაბაძე _____